

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი
ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО»
ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА

## სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი
## 41-ЫЙ ЧЕМПИОНАТ СССР

№ 4 (33)

შაბათი, 8 აპრილი
СУББОТА, 8 АПРЕЛЯ
1978

# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

**«დინამო» — «სპარტაკი»**
თბილისი — მოსკოვი

**«ДИНАМО» — «СПАРТАК»**
ТБИЛИСИ — МОСКВА

დასაწყისი 19 საათზე
НАЧАЛО В 19 ЧАСОВ



# სტარტზეა დიდი ფეხბურთი!

41-ედ მიუსხდებიან ტყავის ბურთის ქომაგები თავიანთ სატურნირო ცხრილებს — მიუსხდებიან, რათა ჩემპიონატის პირველი შედეგები, საფეხბურთო გაზაფხულის „მერცხლები“ — პირველი გოლები, პირველი ქულები შეიტანონ მის სუფთა, ჯერ კიდევ ხელუხლებელ უჯრედებში.

დიახ, იწყება გულშემატკივართა ციებ-ცხელების დღეები, სტადიონების პირთამდე სავსე ტრიბუნების გაუთავებელი განცდა-ღელვანი, თავდამსხმელთა უძლიერესი დარტყმები, მეკარეთა თავგანწირული ნახტომები...

41-ედ იღებს სტარტს უმაღლესი ლიგის გუნდების დიდი ასპარეზობა — ტყავის ბურთის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატი. 16 გუნდი ებმევა დამქანცველ საფეხბურთო მარათონში, რომლის მთავარი რაინდის ოსტატობა და გულმოდგინეობა შემოდგომაზე ოქროს მედლებით დაფასდება.

ჩვენს გულშემატკივრებს, ცხადია, პირველ რიგში აღელვებთ მშობლიური გუნდის — თბილისის „დინამოს“ ბედი. როგორ გამოიყურება იგი 1978 წელს.

დღეს თბილისის „დინამოს“ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ პოპულარულ გუნდთან — მოსკოვის „სპარტაკთან“ აქვს საქმე, რომელთანაც შეხვედრები, როგორც წესი, უშეღავათო ბრძოლითა და დიდი დაძაბულობით მიმდინარეობს.

# ქვლავ გაგვეხარებინეთ!

აი, სამოცდაათ წელზე მეტია სპორტის მაყურებელი ვარ და ყოველთვის კმაყოფილების გრძნობით მივდივარ შინისაკენ, მაშინაც კი, როდესაც ჩვენი გუნდი წარმატებას ვერ მოიპოვებს. შეჯიბრებაში ხომ ერთ-ერთი უნდა დამარცხდეს, როდესაც ვხედავ, რომ დამარცხებულმა ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ ვერას გახდა, რა გეთქმის. ნათქვამია: მჯობნის მჯობი არ დაილევაო! სპორტში ეს აქსიომაა.

თბილისელი მაყურებელი ყოველთვის იყო პირუთვნელი და მიუკერძოებელი. რასაკვირველია, უყვარდა თავისი თანამემამულის გამარჯვება და ლამაზი გამოსვლები, მაგრამ მეტოქესაც პატივისცემით ეკიდებოდა.

ფეხბურთის ახალ სეზონში—ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, თბილისის დინამოელებო. წელს კვლავ გაგვემეორებინოთ 1964 წლის „ოქროს ტაშკენტისა“ და 1976 წლის „ბროლის მოსკოვის“ ყველასათვის ასე სასიამოვნო წუთები!

**აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი**

# მჯერა თქვენი, დინამოელებო!

ქვეყნად **ჭადრაკი** რომ არ არსებობდეს, მთელ გულს, ალბათ, **ფეხბურთს** გადავუშლიდი. ვინ იცის, რამდენი სასიამოვნო წუთი განუცდევინებია ჩემთვის ტყავის ბურთის ოსტატებს, პირველ ყოვლისა კი, საყვარელ თბილისის „დინამოს“. დავსწრებივარ ჩვენი ფეხბურთელების მრავალ თამაშს — თბილისში იყო ეს თუ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. ფეხბურთის ახალი სეზონის თითქმის ყველა გახსნის მოწმე ვარ თბილისში უკანასკნელ წლებში, ხოლო ერთხელ — 1963 წლის 31 მარტს სწორედ ამ სტადიონზე გამართულ 25-ე საიუბილეო ჩემპიონატის პირველ მატჩში ლენინგრადის „ზენიტთან“, მე ბურთის თამაში შეყვანაც კი მომანდეს. ვფიქრობ, რომ „ფეხბედნიერი“ გამოდგა მაშინ ჩემი დარტყმა — ჩვენმა ბიჭებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. თუმცა სხვაგვარად არც შეიძლებოდა — თბილისის „დინამოში“ მაშინ თამაშობდნენ ტყავის ბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორიც იყვნენ შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, სერგო კოტრიკაძე...

ამჯერად თბილისელთა სასტარტო მატჩს ვერ ვესწრები, რადგან დორტმუნდის ვაჟთა ტურნირში ვმონაწილეობ. ვუსურვებ ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვებას დღევანდელ შეხვედრაში და... 41-ე საკავშირო ჩემპიონატის დანარჩენ 29 მატჩშიც. რაც მთავარია, ქართველი გულშემატკივრები კარგი თამაშით გაეხარებინოთ.

მე მჯერა თქვენი, დინამოელებო!

**მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში,**
**საერთაშორისო დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.**

footballprogs.net

# «დინამო–78»



დ. გოგია



ო. გაბელია



ნ. ხიზანიშვილი



თ. კოსტავა



მ. მაჩაიძე

**დავით გოგია** — მეკარე, სპორტის ოსტატი, დაბადებული 1948 წელს, სიმაღლე 180 სმ., წონა 82 კგ.

**ოთარ გაბელია** — მეკარე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1955 წ., 177 სმ., 75 კგ.

**იური მამინაშვილი** — მეკარე, პირველთანრიგოსანი, 1957 წ. 188 სმ., 79 კგ.

**ნოდარ ხიზანიშვილი** — მცველი, სპორტის ოსტატი, 1953 წ., 180 სმ., 80 კგ.

**ფირუზ კანთელაძე** — მცველი, სპორტის ოსტატი, 1949 წ. 194 სმ., 90 კგ.

**შოთა ხინჩაგაშვილი** — მცველი. სპორტის ოსტატი, 1951 წ., 181 სმ., 75 კგ.

**დავით მუჯირი** — მცველი, სპორტის ოსტატი, 1956 წ.. 177 სმ., 77 კგ.

**გიორგი ჭილაია** — მცველი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1957 წ., 182 სმ., 78 კგ.

**თამაზ კოსტავა** — მცველი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1956 წ., 175 სმ., 75 კგ.

**ილია რუხაძე** — მცველი, პირველთანრიგოსანი, 1959 წ., 178 სმ., 75 კგ.

**ტარიელ დურდიაძე** — მცველი, პირველთანრიგოსანი, 1959 წ., 178 სმ., 72 კგ.

**ნოდარ ბაზაზაშვილი** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1953 წ., 175 სმ., 71 კგ.

**ვახტანგ ქორიძე** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1949 წ., 182 სმ., 75 კგ.

**ალექსანდრე ჩივაძე** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1955 წ., 182 სმ., 75 კგ.

**მანუჩარ მაჩაიძე** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1949 წ., 179 სმ., 76 კგ.

**გოჩა მაჩაიძე** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1950 წ., 176 სმ., 76 კგ.

**ვახტანგ კოპალეიშვილი** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1954 წ., 170 სმ., 68 კგ.

**ვიტალი დარასელია** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატი, 1957 წ., 175 სმ., 68 კგ.

**ვალერი ძებისაშვილი** — ნახევარმცველი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1956 წ., 177 სმ., 71 კგ.



შ. ხინჩაგაშვილი



ფ. კანთელაძე



დ. მუჯირი



ვ. ქორიძე



ნ. ახალკაცი



კ. ასათიანი



ს. კუტივაძე

**ნოდარ ახალკაცი** — უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი, დაბადებული 1938 წელს.

**კახი ასათიანი** — უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით მუშაობაში, სპორტის ოსტატი, 1947 წ.

**სერგო კუტივაძე** — მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი, 1944 წ.



დ. ყიფიანი



რ. ჩელებაძე

**ამირან მინაშვილი** — ნახევარმცველი, პირველთანრიგოსანი, 1957 წ., 172 სმ., 68 კგ.

**ნესტორ მუმლაძე** — თავდამსხმელი, პირველთანრიგოსანი, 1956 წ., 176 სმ. 75 კგ.

**თეიმურაზ ებანოიძე** — თავდამსხმელი, პირველთანრიგოსანი, 1956 წ., 182 სმ., 86 კგ.

**ვლადიმერ გუცაევი** — თავდამსხმელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 1952 წ., 175 სმ., 71 კგ.

**დავით ყიფიანი** — თავდამსხმელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 1951 წ., 184 სმ., 76 კგ.

**რევაზ ჩელებაძე** — თავდამსხმელი, სპორტის ოსტატი, 1955 წ., 180 სმ., 79 კგ.

**რამაზ შენგელია** — თავდამსხმელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 1957 წ., 172 სმ., 70 კგ.

**დიმიტრი გოგოლაძე** — მცველი, პირველთანრიგოსანი, 1953 წ., 180 სმ., 77 კგ.

**ვლადიმერ ახობაძე** — ნახევარმცველი, პირველთანრიგოსანი, 1960 წ., 185 სმ., 78 კგ.

**ნუგზარ კაკილაშვილი** — თავდამსხმელი, პირველთანრიგოსანი, 1960 წ., 176 სმ., 65 კგ.



რ. შენგელია



ვ. გუცაევი



ა. ჩივაძე



გ. მაჩაიძე



ვ. კოპალეიშვილი



ვ. დარასელია

footballprogs.net

# ვის შეხვდება თბილისის „დინამო"...

I წრე

8 აპრილი, შაბათი
„დინამო" თბ. — „სპარტაკი" მ.
12 აპრილი, ოთხშაბათი
„დინამო" თბ. — „დინამო" კ.
24 აპრილი, ორშაბათი
„დინამო" მ. — „დინამო" თბ.
28 აპრილი, პარასკევი
„დინამო" თბ. — „ჩერნომორეცი" ოდ.
2 მაისი, სამშაბათი
„დნეპრი" დნ. — „დინამო" თბ.
9 მაისი, სამშაბათი
„პახტაკორი" ტშ. — „დინამო" თბ.
18 მაისი, ხუთშაბათი
„დინამო" თბ. — „ნეფტჩი" ბქ.
23 მაისი, სამშაბათი
„დინამო" თბ. — „შახტიორი" დნ.
28 მაისი, კვირა
„კაირატი" ა.-ა. — „დინამო" თბ.
2 ივნისი, პარასკევი
„ტორპედო" მ. — „დინამო" თბ.
11 ივნისი, კვირა
„დინამო" თბ. — „ზენიტი" ლ.
17 ივნისი, შაბათი
„არარატი" ერ. — „დინამო" თბ.
27 ივნისი, სამშაბათი
ცსკა — „დინამო" თბ.
1 ივლისი, შაბათი
„დინამო "თბ. — „ლოკომოტივი" მ.
9 ივლისი, კვირა
„დინამო" თბ. — „ზარია" ვშ.

II წრე

15 ივლისი, შაბათი
„დინამო" თბ. — „დნეპრი" დნ.
22 ივლისი, შაბათი
„ჩერნომორეცი" ოდ. — „დინამო" თბ.
30 ივლისი, კვირა
„დინამო" თბ. — „დინამო" მ.
3 აგვისტო, ხუთშაბათი
„დინამო" კ. — „დინამო" თბ.
7 აგვისტო, ორშაბათი
„დინამო" თბ. — „კაირატი" ა.-ა.
20 აგვისტო, კვირა
„დინამო" თბ. — „პახტაკორი" ტშ.
26 აგვისტო, შაბათი
„შახტიორი" დნ. — „დინამო" თბ.
1 სექტემბერი, პარასკევი
„ნეფტჩი" ბქ. — „დინამო" თბ.
23 სექტემბერი, შაბათი
„სპარტაკი" მ. — „დინამო" თბ.
29 სექტემბერი, შაბათი
„დინამო" თბ. — „არარატი" ერ.
15 ოქტომბერი, კვირა
„ზარია" ვშ. — „დინამო" თბ.
23 ოქტომბერი, ორშაბათი
„დინამო" თბ. — ცსკა
27 ოქტომბერი, პარასკევი
„ზენიტი" ლ. — „დინამო" თბ.
6 ნოემბერი ,ორშაბათი
„ლოკომოტივი" მ. — „დინამო" თბ.
11 ნოემბერი, შაბათი
„დინამო" თბ. — „ტორპედო" მ.

შენიშვნა: მატჩები შედგება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე.

41 ЧЕМПИОНАТ СССР

## სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

# გათამაშების ცხრილი

## I წრე

| N | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | ბ | ე | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „დინამო" კ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | „დინამო" თბ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | „ტორპედო" მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | „დინამო" მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | „შახტიორი" დ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | „ლოკომოტივი" მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | „ჩერნომორეცი" ო | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | „კაირატი" ა-ა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | „ზარია" ვ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | „ზენიტი" ლ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | „არარატი" ე | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | „დნეპრი" დ-ნ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | „ნეფტჩი" ბ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | ცსკა მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | „სპარტაკი" მ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | „პახტაკორი" ტშ | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# НОВИНКИ 41-ГО РОЗЫГРЫША

Особенностью нынешнего чемпионата является установление так называемого лимита ничьих. Каждая команда получит по привычному очку лишь за первые восемь ничьих. За каждую последующую ничью команде очки начисляться не будут.

В этом сезоне высшую лигу покинет одна команда, а войдут из первой лиги три клуба. Таким образом, в 1979 году в высшей лиге (чемпионат пройдет с марта по декабрь) выступит 18 коллективов. В том же году в середине лета в Москве в рамках Спартакиады народов СССР пройдет футбольный турнир с участием сборных команд союзных республик, Москвы и Ленинграда, в составах которых будут выступать сильнейшие игроки клубов.

При составлении нынешнего календаря высшей лиги, в основу которой положен семидневный цикл, учитывались ритмичность и стабильность.

На всех матчах чемпионата высшей лиги и на некоторых встречах первой и второй лиг будут присутствовать инспекторы, что делается с целью необходимости обеспечения хорошего судейства. Как и прежде на игры будут выезжать и члены апелляционного жюри.

# «ДИНАМО» ТБ.—«СПАРТАК» М.

Сегодняшние соперники в рамках чемпионатов страны встречались друг с другом 71 раз. 32 матча выиграл «Спартак», 27 — «Динамо», 12 — закончилось вничью. Разность забитых и пропущенных мячей 112—83 в пользу «красно-белых».

Приводим результаты всех встреч между сегодняшними соперниками, сыгранных в чемпионатах страны с осени 1936 года (первая цифра означает забитый гол динамовцами).

| | | |
|---|---|---|
| 1936 — — 1:0 | 1953 — 0:0, 1:4 | 1965 — 1:1, 2:1 |
| 1937 — 0:2, 1:0 | 1954 — 2:1, 0:5 | 1966 — 0:1, 1:1 |
| 1938 — 1:6, — | 1955 — 0:5, 1:2 | 1967 — 0:1, 2:3 |
| 1939 — 0:0, 0:3 | 1956 — 2:3, 2:4 | 1968 — 0:0, 0:1 |
| 1940 — 1:2, 2:1 | 1957 — 1:2, 2:5 | 1969 — 2:0, 0:3 |
| 1945 — 2:1, 1:0 | 1958 — 1:4, 2:5 | 1970 — 2:0, 1:2 |
| 1946 — 3:1, 1:0 | 1959 — 1:1, 5:4 | 1971 — 1:1, 3:0 |
| 1947 — 0:1, 2:1 | 1960 — 2:2, 1:2 | 1972 — 0:5, 2:0 |
| 1948 — 1:1, 2:0 | 1961 — 2:3, 0:0 | 1973 — 1:3, 1:0 |
| 1949 — 1:0, 2:3 | 1962 — 2:1, 2:0 | 1974 — 0:1, 0:1 |
| 1950 — 1:1, 1:0 | 1963 — 1:2, 1:0 | 1975 — 0:2, 1:0 |
| 1951 — 3:1, 2:4 | 1964 — 1:0, 1:0 | 1976 — 1:0, 0:0 |
| 1952 — 1:2, — | | 1978 — |

# СЕГОДНЯ НА СТАДИОНАХ...

Первый матч 41-го футбольного чемпионата СССР состоялся вчера в Днепропетровске, где встречались местный «Днепр» и московское «Динамо».

Сегодня на стадионах нашей страны будет сыграно еще 7 матчей первого тура чемпионата:

«Кайрат» Алма-Ата — «Локомотив» Москва.
«Пахтакор» Ташкент — ЦСКА.
«Арарат» Ереван — «Зенит» Ленинград
«Нефтчи» Баку — «Торпедо» Москва
«Динамо» Тбилиси—«Спартак» Москва
«Черноморец» Одесса — «Динамо» Киев
«Шахтер» Донецк — «Заря» Ворошиловград

footballprogs.net

# Визитная карточка гостей

ОДИН из старейших и популярнейших клубов советского футбола — московский «Спартак» был основан в 1935 году, явившись преемником небезизвестных некогда команд МКС (Московский Клуб Спорта), «Красная Пресня», «Пищевики», «Дукат», «Промкооперация»... «Спартак» является 9-кратным чемпионом страны и 9-кратным обладателем Кубка СССР, что считается своеобразным рекордом в нашем футболе. Со славой знаменитого клуба «красно-белых» навсегда связаны имена братьев Старостиных (Николай, Александр, Андрей и Петр), Петра Исакова и Павла Канунникова, Виктора, Александра и Василия Соколовых, Анатолия Акимова и Владислава Жмелькова, Виктора Степанова и Георгия Глазкова, Николая Гуляева и Николая Дементьева, Игоря Нетто и Алексея Парамонова, Бориса Татушина и Анатолия Ильина, Сергея Сальникова и Никиты Симоняна, Геннадия Логофета и Галимзяна Хусаинова... Замечательные тренеры работали со «Спартаком» в разное время — К. Квашнин, П. Попов, А. Вольрат, А. Дангулов, каждый из которых значительно приумножил спартаковскую славу. Являясь сторожилом чемпионатов страны, «Спартак» лишь однажды не выступал в компании сильнейших — в сезоне 1977 года, однако блестяще выиграв турнир в первой лиге вновь, как говорится, вернулся в родные пенаты.

Сегодняшний «Спартак» — молодая, сплоченная, целеустремленная команда, которой по-прежнему по вкусу комбинационный, атакующий футбол. В этом главная заслуга принадлежит, несомненно, ее старшему тренеру, отличному специалисту, заслуженному мастеру спорта Константину Бескову, которому, как известно, в прошлом году приходилось начинать, можно сказать, с нуля. Вместе с опытными ветеранами Евгением Ловчевым, Михаилом Булгаковым, Вадимом Павленко, Александром Прохоровым боевой настрой, высокий энтузиазм поддерживают в коллективе способные новобранцы-защитники Вагиз Хидиятуллин, Александр Сорокин, Олег Романцев, полузащитники Юрий Гаврилов, Сергей Шавло, Евгений Сидоров и, несомненно, открытие минувшего сезона — молодой форвард Георгий Ярцев (из костромского «Спартака»), отличающийся высокой результативностью. Вот на них и делают в первую очередь ставку нынешние руководители старейшего футбольного клуба, неустанно заботясь о возрождении былой славы команды, о поддержании старого спартаковского духа.

ВОТ что говорит о своей команде старший тренер **К. Бесков:** — Подготовку к новому сезону мы начали в январе в Сокольниках, в манеже искусственного поля «Спартака». В феврале готовились в Болгарии в небольшом городке Велинграде, где в наше распоряжение были предоставлены хорошие футбольные поля. Мы провели там 5 матчей — выиграли 3, один проиграли и один свели вничью. Особенно напряженной была встреча с командой-побратимом «Славией» (занимающей третье место в чемпионате республики), которую выиграли со счетом 4:3. В Болгарии особенно хорошо сыграли Гаврилов, Ярцев, Ловчев, Сорокин, Прохоров. К сожалению

# СПАРТАК Москва

травмы тогда получили молодые Романцев, Шавло, Сидоров и Цыбин. В марте мы продолжили учебно-тренировочный сбор на побережье Черного моря в Сочи.

В новом сезоне «Спартак» будет выступать в том же составе, в котором играл в первой лиге. Ребята поправу заслужили это. А ведь первоначально было очень и очень трудно. После того, как команде — одному из сторожилов большого футбола пришлось покинуть высшую лигу, появилась известная растерянность у игроков, руководителей команды, наконец, у ее многочисленных почитателей. К тому же в «Спартаке» из ветеранов осталось всего лишь несколько игроков. Предстояло фактически заново укомплектовать коллектив, подготовить его к очень трудной борьбе. При комплектовании мы прежде всего старались найти таких исполнителей, которые были способны показать ту игру, о которой мы все мечтали. Должен сказать, что в игроках мы в основном не ошиблись и почти все приглашенные в «Спартак» оправдали надежды. Но подбор игроков — лишь одно дело. Надо было решительно перестроить весь учебно-тренировочный процесс. Резко повысили мы требования к физической подготовке, большое внимание уделяли, конечно, техническому и тактическому совершенствованию. Вспомните, ведь в чемпионате 1976 года «Спартак» забил всего 24 мяча. Было ясно, что необходимо, прежде всего поднять атакующую мощь команды, повысить результативность форвардов. Много пришлось поработать, чтобы сплотить ребят в коллектив единомышленников, зажечь в них огонь энтузиазма, чтобы каждый из них проявлял максимум воли, выдержки, по-настоящему серьезное, самое ответственное отношение к игре. Уверен, что без всего этого не сможет быть успеха в современном спорте, равно как и в любом творческом деле.

Возвращение в высшую лигу, как трудно, оно нам не досталось, это всего лишь возвращение. Ясно, что задача состоит теперь в том, чтобы прочно утвердиться здесь и вернуть московскому «Спартаку», кстати над которым теперь шефствует Аэрофлот, положение одного из лидеров советского футбола. Иных планов, иных задач у нашего клуба быть не может. Мы верим в наше будущее!

В сегодняшнем матче спартаковцы пришли в самом хорошем, боевом настроении. Постараемся показать в Тбилиси достойный футбол и.., как всегда, пусть победит сильнейший!

СЛОВО первому капитану московского «Спартака», заслуженному мастеру спорта **Андрею Старостину:**

— К чести Константина Ивановича Бескова следует сказать, что он пошел по самому рискованному пути— стал приглашать совершенно неизвестных игроков. Естественно, что сразу ничего не сбывается, но Бесков не сомневался... Что объединяло малоизвестных Сорокина, Романцева, Шавло, Ярцева и известных игроков Ловчева, Булгакова, Гладилина, Павленко? Вера! Вера в современный футбол, точное понимание стоящей перед ними цели. Целый ряд игр (в Ташкенте с «Пахтакором», в Ярославле с «Шинником», в Москве с кишиневской «Нистру») показали, что наша команда способна вспыхнуть, загореться одной идеей и бороться за нее до конца. Такие матчи заставили меня (да и весь стадион!) забыть о времени. По темпераменту они напоминали довоенный футбол. Старые болельщики меня, конечно, поймут. Да эти ребята вызывают благодарность и уважение за верность старинному спартаковскому девизу «Вышел на поле — играй!». Приятно, что спартаковцы вновь осознали истину: играть надо по самому высокому спросу!..



Е. ЛОВЧЕВ

# ფეხბურთის კოდექსიდან

**„თამაშგარე მდგომარეობა“** მსაჯობის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და ხშირად სადაო უბანია არა მარტო გულშემატკივრებს შორის, არამედ კვალიფიციურ არბიტრებისათვისაც, იგი ფეხბურთის არსებობის 100 წლის მანძილზე ბევრჯერ იცვლებოდა და ზუსტდებოდა. ასე, მაგალითად, 1866 წლამდე „თამაშგარე მდგომარეობაში“ ითვლებოდა ყველა ფეხბურთელი, რომელიც უფრო ახლო იდგა მეტოქის კარის ხაზთან, ვიდრე მისი პარტნიორი, რომელსაც ბურთი ეპყრა. 1866 წლიდან გუნდი, რომელიც იერიშზე იყო, ისჯებოდა თავისუფალი დარტყმით, თუკი მის ფორვარდის წინ უბურთოდ იმყოფებოდა მეტოქის სამზე ნაკლები მოთამაშე. 1877 წლიდან ნებისმიერი ფეხბურთელი აღარ ითვლებოდა „თამაშგარე მდგომარეობაში“, როდესაც ბურთი მას მეტოქისაგან მიუვიდოდა. 1887 წელს ამ პუნქტში შეიტანეს შესწორება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უბურთო მოთამაშე არ ითვლება „თამაშგარე მდგომარეობაში“ კუთხური დარტყმის შესრულებისა და კარიდან წარმოებული დარტყმის დროს. 1905 წელს გააკეთეს განმარტება, რომ „თამაშგარე მდგომარეობა“ არ უნდა იქნეს ფიქსირებული, როდესაც კარის ხაზსა და უბურთოდ მყოფ ფეხბურთელს შორის თუმც არ არის მეტოქის ორი მინდვრის მოთამაშე, მაგრამ თავდამსხმელი არ ახდენს გავლენას ასპარეზობის სვლაზე. 1907 წელს ამაშიც შეიტანეს დაზუსტება იმის თაობაზე, რომ „თამაშგარე მდგომარეობა“ შეიძლება იყოს მხოლოდ მეტოქის მინდვრის ნახევარზე. 1921 წლიდან ფეხბურთელი არ ითვლება „თამაშგარე მდგომარეობაში“ გვერდითი ხაზიდან თამაშში ბურთის შეყვანისას. 1925 წლიდან „თამაშგარე მდგომარეობა“ აღინიშნება არა დაცვაში მყოფ სამი მოთამაშით, არამედ ორით. უკანასკნელ წლებში არაერთხელ აღუძრავთ საკითხი თამაშგარე მდგომარეობის გაუქმებისა ან და რადიკალური შეცვლის თაობაზე, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. დღევანდელი არსებული წესების თანახმად მოთამაშე ითვლება „თამაშგარე მდგომარეობაში“ თუ ის თავის გუნდის სხვა მოთამაშის მიერ დარტყმის დროს იმყოფება მეტოქის კარის ხაზთან უფრო ახლოს, ვიდრე ბურთია, გარდა შემდეგი მომენტებისა:

— ფეხბურთელი სხვა მოთამაშის მიერ ბურთზე დარტყმის დროს იმყოფებოდა თავისი მოედნის ნახევარზე;

— დარტყმის დროს უბურთოდ მყოფი მოთამაშის წინ იმყოფებოდა დაცვაზე მყოფი გუნდის არა ნაკლები ორი ფეხბურთელისა (მეკარის ჩათვლით);

— კარის წინ არ არის ორი მოთამაშე, მაგრამ უკანასკნელად ბურთს დაარტყა ან და შეეხო ერთ-ერთი ფეხბურთელი გუნდიდან, რომელიც დაცვაში იმყოფებოდა;

— ბურთზე პირველ შეხებამდე კარიდან დარტყმისას კუთხურის დარტყმის დროს, გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოტანისას და სადაო ბურთის გათამაშებისას.

„თამაშგარე მდგომარეობის“ წესის დარღვევისას დაჯარიმებული გუნდის კარისაკენ ინიშნება თავისუფალი დარტყმა (იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „თამაშგარე მდგომარეობაში“ მყოფი ფეხბურთელი არ ისჯება, რადგანაც იმ მომენტში არ უშლის მეტოქეს და არ ცდილობს მიიღოს რაიმე უპირატესობა თავისი ასეთი მდგომარეობით, ე. წ. პასიური თამაშგარე მდგომარეობა.

**„თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა“** — ეს ყველაზე მძიმე სასჯელია ფეხბურთის თამაშის დროს. საფეხბურთო წესებში იგი შეტანილია 1891 წელს. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ინიშნება საჯარიმო მოედანში დაცვაში მყოფი გუნდის მიერ თამაშის წესების უხეში დარღვევისათვის. აი რა მიეკუთვნება მათ:

1. დარტყმა ან და ცდა მოარტყან ფეხი მეტოქეს;
2. ფეხის დადება ან და ცდა წააქციონ მეტოქე მის წინ და უკან დაკუზვით;
3. ნახტომი მეტოქეზე;
4. უხეში ან საშიში თავდასხმა მეტოქეზე;
5. თავდასხმა ფეხბურთელზე უკნიდან, როდესაც იგი ბლოკირებას არ ახდენს მეტოქეზე;
6. დარტყმა ან ცდა ხელი დაარტყა მეტოქეს;
7. მეტოქის დაკავება ხელით;
8. მოთამაშის ხელით კვრა;
9. ხელით განზრახ თამაში.

| გუნდების შემადგენლობანი | СОСТАВЫ КОМАНД |
|---|---|
| **„სპარტაკი“ მოსკოვი** | **«СПАРТАК» Москва** |
| № — ალექსანდრე პროხოროვი | **№ — Александр Прохоров** |
| № — ვლადიმერ დოსაევი | **№ — Владимир Досаев** |
| № — ვლადიმერ ბუკიევსკი | **№ — Владимир Букиевский** |
| № — ალექსანდრე სოროკინი | **№ — Александр Сорокин** |
| № — ვაგიზ ხიდიატულინი | **№ — Вагиз Хидиятуллин** |
| № — ოლეგ რომანცევი | **№ — Олег Романцев** |
| № — ვიქტორ სამოხინი | **№ — Виктор Самохин** |
| № — ვალერი გლადილინი | **№ — Валерий Гладилин** |
| № — ევგენი ლოვჩევი | **№ — Евгений Ловчев** |
| № — სერგეი შავლო | **№ — Сергей Шавло** |
| № — მიხეილ ბულგაკოვი | **№ — Михаил Булгаков** |
| № — ალექსანდრე კოკორევი | **№ — Александр Кокорев** |
| № — გიორგი იარცევი | **№ — Георгий Ярцев** |
| № — ვადიმ პავლენკო | **№ — Вадим Павленко** |
| № — იური გავრილოვი | **№ — Юрий Гаврилов** |
| № — ევგენი სიდოროვი | **№ — Евгений Сидоров** |
| გუნდის კაპიტანი ა. პროხოროვი | Капитан команды **А. Прохоров** |
| უფროსი მწვრთნელი კ. ბესკოვი | Старший тренер **К. Бесков** |

| „დინამო“ თბილისი | «ДИНАМО» Тбилиси |
|---|---|
| № — დავით გოგია | **№ — Давид Гогия** |
| № — ოთარ გაბელია | **№ — Отар Габелия** |
| № — ნოდარ ხიზანიშვილი | **№ — Нодар Хизанишвили** |
| № — შოთა ხინჩაგაშვილი | **№ — Шота Хинчагашвили** |
| № — ვახტანგ ქორიძე | **№ — Вахтанг Коридзе** |
| № — დავით მუჯირი | **№ — Давид Муджири** |
| № — ფირუზ კანთელაძე | **№ — Пируз Кантеладзе** |
| № — ალექსანდრე ჩივაძე | **№ — Александр Чивадзе** |
| № — მანუჩარ მაჩაიძე | **№ — Манучар Мачаидзе** |
| № — ვახტანგ კოპალეიშვილი | **№ — Вахтанг Копалейшвили** |
| № — გოჩა მაჩაიძე | **№ — Гоча Мачаидзе** |
| № — ვლადიმერ გუცაევი | **№ — Владимир Гуцаев** |
| № — დავით ყიფიანი | **№ — Давид Кипиани** |
| № — რევაზ ჩელებაძე | **№ — Реваз Челебадзе** |
| № — რამაზ შენგელია | **№ — Рамаз Шенгелия** |
| გუნდის კაპიტანი მ. მაჩაიძე | Капитан команды **М. Мачаидзе** |
| უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი | Старший тренер **Н. Ахалкаци** |

მსაჯთა ბრიგადა: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი), ვ. გრინბერგი და კ. ვიხროვი (ორივე — კიევი).

Судейская бригада: М. Ступар (Ивано-Франковск), В. Гринберг и К. Вихров (оба — Киев).

ფასი 18 კაპ.

**ЦЕНА 18 КОП.**

საქ. კპ ცკ-ის გამომც. სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტ. 18000. უე 03049